პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 დეკემბერი ხუთშაბათი 1971 წელი 2 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 302 (15212)



იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

ᲓᲘᲓᲘᲡ მოვლენებით აღსავსე, ვალმოხდილი 1971 წელი. კიდევ ერთი დღე და ოხტორიის მრიცხველზე თავის ადგილს დაიკავებს ახალი წელი. საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებით მიაცილებენ ძველს და ოპტიმიზმით აღსავსენი ეგებებიან მომავალი წლის დამკვიდრებას.

მიმავალმა წელმა ბევრი რამ დაგვიტოვა მუდამ სამახსოვრო და სამაგალითო. ეს იყო XXIV კონგრესის, უაღლესი მომავლისათვის ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების გეგმების დასახვისა და მისი განხორციელებისათვის საბჭოთა ადამიანების გმირული შემართების წელიწადი. ამასთან ერთად საბჭოთა საქართველოს მშრომელებისათვის ეს იყო ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის შეჯამების, დიდი ეროვნული ზეიმის წელიწადი.

მაგრამ ახალ წელს მოგვალის კიდევ უფრო გაზრდილი ახალი ამოცანები, ახალი მიჯნები. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1972 წლის 30 დეკემბერს სრულდება სსრ კავშირის შექმნის 50 წელი. არა მარტო საბჭოთა ადამიანები, არამედ მთელი მსოფლიო მოწმე გახდება სსრ კავშირის ხალხთა უჩვეულოდ დიდი ზეიმისა. ეს იქნება ხალხთა ახალი სოციალისტური ურთიერთობის ძალისა და ძლიერების სწორუპოვარი დემონსტრაცია.

1922 წლის 30 დეკემბერს სსრ კავშირის საბჭოების პირველ ყრილობაზე მოხდა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან ხალხმეურნეობად — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. ბუროუაზიული იდეოლოგია ირონიით შეხვდა ამ ისტორიულ აქტს. მას ვერ წარმოედგინა მისი მომავალი. მაგრამ მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გადის და სსრ კავშირი არის მთელი მსოფლიოსთვის ხალხთა ლენინური მეგობრობის დიდი ნიმუში, დღეს მისი ძალის, ძლიერების წყაროა სოციალისტური ერებისა და ხალხების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

თანასწორთა და თავისუფალთა ნებაყოფლობითმა კავშირმა ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში მრავალჯერ დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა. მან უფრო ადვილი გახადა მსოფლიოს ერთადერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის სიძნელეთა დაძლევა. საბჭოთა ადამიანებისათვის ეს კავშირი იყო იმედიც და მატერიალური ძალაც იმ დიდ გამარჯვებებში, რომლებიც მათ მოიპოვეს რეკონსტრუქციის, იდეოსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და დიდი სამამულო ომის წლებში. ახლაც ეს მძლავრი კავშირი არის ის დიდი პოლიტიკური და მატერიალური ძალა, რომელიც ალაფრთოვანებს მთელ მსოფლიოს ხალხებს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

როცა ეხებოდა სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობის ბრწყინვალეობას საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ზეიმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამბ. ლ. ი. ბრეჟნევი ამბობდა:

„...პარტიის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულმა განხორციელებამ შეაკავშირეს ჩვენი ქვეყნის ხალხები, გადააჭიცეს მათი ძეგობრობა საბჭოთა საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალად, საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ენერგიისა და შემოქმედების დაუშრეტელ წყაროდ“.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დროშით დიდი გამარჯვებები მოიპოვა საბჭოთა საქართველომ მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. მომავ ერების დიდ ოჯახში ეკუთვნა, გაიფურჩქნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. დღეს ქართველი კაცის მადლიანი შრომით შექმნილ სამრეწველო პროდუქციას ეატივს სცემენ და ფასობენ ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში. ასევე ფაოთოდ იცნობენ და ანგარიშს უწევენ ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებს და თეორიულ საშრომებს. და, სწორედ ამაშია სსრ კავშირის შექმნის, თანასწორ და თავისუფალ ხალხთა ხაძმო კავშირის ძალა.

მადლიერი ქართველი ხალხი დიდი ხანია შეუდგა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად მზადებას. ახლა მთავარია მთელ ადამიანი ორგანიზაციები, პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტები სათავეში ჩაუდგნენ ამ მზადებას. აგიტატორებმა, პოლიტინფორმატორებმა, პოლიტიკურმა მომხსენებლებმა, პროპაგანდისტებმა და ლექტორებმა ფაოთოდ უნდა გააცნონ მშრომელებს სსრ კავშირის შექმნის, სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს როლი ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, მისი გავლენა წარსულში ეკონომიურად ჩამორჩენილი ერების განვითარებაზე და სხვ. საჭირო იქნება გაიმართოს ამ საკითხებზე თეორიული და სამეცნიერო კონფერენციები, ხალხთა მეგობრობის საღამოები, მოეწყოს გაძოფენები, გამოიცეს პოპულარული ლიტერატურა.

ამ დიადი იუბილისათვის მზადება უნდა წარიმართოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ჩვენ ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით. ამასთან ყურადღება განსაკუთრებით უნდა მივაპყროთ ფსეი ღონისძიებების განხორციელებაზე, როგორიც არის ხაზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და შრომის ნაყოფიერების გადიდება მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ფართოდ დანერგვის, მარცვის სრულყოფის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ პარტია ჩვენი გეგმების წარმატებით განხორციელებას უკავშირებს მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის განუხრელ აღძაკლობას. ამიტომ საჭირო იქნება აქედანვე ფართოდ გავიჩაღოთ წინასაიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება და სათავეში ჩავუდგეთ მას.

მხარი დავუჭიროთ და წავახალისოთ მასების ყოველი სახარგებლო ინიციატივა, რომელიც მიმართული იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდების, შიდასამეურნეო რეზერვების გამონახვის, წარმოების კულტურის ამაღლებისაკენ.

წინასაიუბილეო შეჯიბრების წარმატებით გაშლის ერთ-ერთი მთავარი პირობა იქნება ის, თუ რა დონეზე დავაყენებთ იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას. უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება იმას, რომ პარტიული ორგანიზაციები ამ მუშაობას აწარმოებდნენ არა კამპანიურად და ეპიზოდურად, არამედ თანმიმდევრულად და გეგმაშეწონილად. ამასთან ისინი ძირითად ღონისძიებებს უნდა ახმარდნენ საიუბილეოდ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, ორგანიზატორული საქმიანობით განამტკიცებდნენ მოპოვებულ წარმატებებს და აღწევდნენ საერთო აღმავლობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეოთ მშრომელთა ეკონომიურ სწავლებას, უზრუნველყოთ მათზე სისტემატური ხელმძღვანელობა და დაბმარება.

საქართველოს მშრომელებმა სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში დიდი წარმატებებით აღნიშნეს ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავი, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი.

ახლა — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად ფართოდ გაჩაღებული მზადება იმის თავდებია, რომ საქართველოს მშრომელთა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია კვლავაც მოიპოვებენ ახალ გამარჯვებებს და ღირსეული ხაჩუქრებით შეხვდებიან ხალხთა ძმობის დიდ დღესასწაულს.

მოდის ახალი წელი — მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს დიდი იუბილის წელი! ახალ წარმატებებს გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო!

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც ლენინგრადში იმყოფებოდა, 29 დეკემბერს მოსკოვში დაბრუნდა. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სამრეწველო პროდუქციის ხარისხის რესპუბლიკური დათვალიერება

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში განსაზღვრულია პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კონკრეტული ამოცანები.

რესპუბლიკის ბევრი პარტიული ორგანიზაცია და საამეურნეო ხელმძღვანელი ახორციელებს სისტემატურ ეფექტიან ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებას, გაძლიერების და საიმედოობის ამაღლებას. ქარხნებსა და ფაბრიკებში ყველგან მიმდინარეობს გამომგებული პროდუქციის განახლება, მორალურად მოძველებული ნაკეთობების ხაცვლად ითვისებენ ახალი თანამედროვე სიმუშებს წარმოებას.

გარკვეული მიღწევებია პროდუქციის უდიფექტოდ დამზადებისა და პირველი ჯერადებისთანავე მისი ტექნიკური კონტროლის განყოფილებისა და შეკვეთისათვის ჩაბარების სისტემის დანერგვაში. ხორცელდება შემოქმედებითი მუშაობა, რათა კიდევ უფრო ფართოდ გაიბაროს სოციალისტური შეჯიბრება გამომგებული ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებისათვის.

თბილისის საწარმოებს — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, კიროვის სახელობის ჩაროსამშენებლო ქარხნის, კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, კონიაკის ქარხნის, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნისა და რეზინუოლიანის სხვა სამრეწველო კოლექტივების ნაკეთობანი მოსხმარებელთა ხაღალ შეფასებას იმსახურებენ. საწარმოებში გაბატკუთრებული ყურადღება ეთმობა საექსპორტო პროდუქციის დამზადებას.

„პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში სტანდარტების როლის ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების და „პროდუქციის ხარისხის მემდგომი გაუმჯობესების, გამომგებული ნაკეთობათა ტექნიკური დონისა და ხარისხის სრულყოფაში სტანდარტების როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკაში გაწეული მუშაობის მეოხებით მოპოვებულია გარკვეული წარმატებანი.

ამასთანავე პროდუქციის ხარისხი მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. უმეტეს გარკვეული რაოდენობის მოწყობილობას, რომელიც სიზუსტით, ეკონომიურობითა და საიმედოობით ჩამოუვარდება საუკეთესო საბჭოურ და საზღვარგარეთულ ნიმუშებს, უროგდებიან საწარმოო დეფექტებს, ტექნიკური პირობებისა და სტანდარტებისაგან გადაუვლიან. ფაროთ მოხმარების საქონელს, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საგნებს ხშირად აბრალებენ მოთვლეულები მოდელებში მიმდინარეობდა მიხედვით, ისინი არ შეესაბამებიან მომხმარებელთა გაზრდილ გემოვნებას და დაბალხარისხოვანია. პროდუქციის სახელმწიფო ატესტაციისათვის მზადება ჯერჯერობით სუსტად მიმდინარეობს, საკმარისად არ იყენებენ სტანდარტებს როგორც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას.

წარმოების მართვაში მშრომელთა ფართო ფენების უფრო მეტად ჩაბმის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში თითოეული მუშის „ინვიხრის, ტექნიკოსის, მოსამსახურის, ხელოვნური მუშაკის უშუალოდ მონაწილეობის, რეაპუბლიკაში პროდუქციის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებისათვის ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომ 1972 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე სამრეწველო საწარმოებში მოეწყოს საარეულელო პროდუქციის ხარისხის რესპუბლიკური დათვალიერება.

დათვალიერების მსვლელობაში მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ მუშაკთა, მოსამსახურეთა სამეცნიერო-ტექნიკური ფორმა ხელმძღვანელობენ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ყურადღება და ღონისძიებანი უნდა მიმართდეს იმაზე, რომ ყოველი ღონისძიებით: გაუმჯობესდეს რესპუბლიკის საწარმოებში გამომგებული პროდუქციის ხარისხი, რაც რეალიზაციის მოცულობასთან ერთად ახალ ხუთწლედში საწარმოო კოლექტივებისა და დარგების სამეურნეო საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი ხდება. ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის უნდა მიმდინარეობდეს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, საწარმოთა ტექნიკური კონტროლის ორგანოებისა და მეტროლოგიური სამსახურების საქმიანობის გაუმჯობესების, სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცების, სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების ზუსტად დაცვის, ახალი ტექნიკის შეთვისებისა და დანერგვის ვადების შემცირების, სპეციალიზებულ წარმოებათა ორგანიზაციის დაჩქარების, პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირების საფუძველზე. ყველა ეს საკითხი კონკრეტულად უნდა აისახოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გეგმებში.

დათვალიერების დროს უნდა შემოწმდეს, თუ როგორ ასრულებენ რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები და საწარმოები პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, რომლებიც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ეხება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხარისხის სამი კატეგორიის— უმაღლესი, პირველი და მეორე კატეგორიების — მიხედვით პროდუქციის დარეგისტრირებული ატესტაციის მოძზადებასა და მოწყობას.

უნდა დაისახოს არსებული ტექნოლოგიური პროცესებისა და ოპერაციების გადასინჯვის, პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის გაძლიერების, მისი უდიფექტო დამზადებისა და პირველი ჯერადებისთანავე ტექნიკური კონტროლის განყოფილებისა და შეკვეთისათვის ჩაბარების სისტემის, უდიფექტო მრომის სისტემის დანერგვის, გამომშვებული პროდუქციის ხარისხის ანალიზის, აგრეთვე ხარისხის ნიშნის მისანიჭებლად სალაბორატორიო ატესტაციაზე წარსადგენ ნაკეთობათა ნომენკლატურის გაფართოების კონკრეტული ღონისძიებანი. უნდა გამოვლინდეს დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების, შეკასაქარხნო წესის მიზეზები, ამასთან მკაცრად მოგვითხოთ წესის მკეთებლებს. საჭიროა ზუსტად დაკვეგმოთ ყველა კატეგორიის მშრომელთა ეკონომიური და ტექნიკური სწავლება, რადგან ჩინებული ხარისხის პროდუქციის უზრუნველყოფა შეუძლებელია ხელოვნ კვალიფიციურ კადრებს.

დათვალიერების მოწყობაში ყოველმხრივ უნდა ჩაგვაბა ოტატები, მოწინავე მუშები, წარმოების ყველა მრომელი, მოვაწყოთ გამოცდილების ფართო გაზიარება, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ყველგან ინერგებოდეს მოწინავე საწარმოთა გამოცდილება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში.

დათვალიერების დროს უნდა გავაძლიერთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობაში, ჩავუნერგოთ ადამიანებს სამეურნეო პასუხისმგებლობის გრძნობა საფაბრიკო-საქარხნო მარკის ღირსებისათვის.

დათვალიერების ხელმძღვანელობისათვის საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებში, სამინისტროებსა და უწყებებში, აგრეთვე სამრეწველო საწარმოებსა და საამქროებში იქმნება კომისიები. დათვალიერების დროს, რომელშიც ფაროთდ უნდა ჩაებაბა საზოგადოებრიობა, სამინისტროების, უწყებების, სტანდარტიზაციის საბაზო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების მუშაკები, კომისიები აგროვებენ წინადადებებს პროდუქციის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებისა და თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის შესახებ, აგრეთვე დასაბუნ ან განსორციელებენ მიღებულ წინადადებათა განხილვასა და დანერგვას.

სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა დამთვალიერებელი კომისიები შეაჯამებენ დათვალიერების შედეგებსა და მიღებულ წინადადებებს, შეადგენენ ანგარიშებს დათვალიერების შედეგების შესახებ, შეიმუშავებენ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა კონკრეტულ გეგმებს, დათვალიერების მასალებს წარადგენენ საწარმოო თათბირებისა და პარტიული კრებების განსახილველად. შედეგ დათვალიერების შედეგები და ღონისძიებანი გაფორმდება სამინისტროთა და საწარმოთა ხელმძღვანელობის ბრძანებებით. უნდა შედგეს აგრეთვე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების 1972 წლის და ხუთწლედის მომდევნო წლების კონკრეტული გეგმები.

(საკდესი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔ

თბილისი

ᲥᲘᲛᲘᲣᲠ-ფარმაცევტული ქარხანა (დირექტორი დ. ჯაფარიძე) 50 დასახელების ხამკურნალო პრეპარატებს უშვებს, რომლებიც იგზავნება არა მარტო მოძმე რესპუბლიკებში, არამედ მსოფლიოს რამდენიმე სახელმწიფოშიც. ფარმაცევტებმა, გაიჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება მომდინარე წლის ვადამდე შესრულებისათვის, კარგ წარმატებას მიაღწიეს. წამლების რეალიზაციის წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულეს, ბარშანდელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით აამაღლეს.

საწარმოს კოლექტივმა გადაწყვეტა წლის ბოლომდე დამატებით 300 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვას. (სპპ. კორ.).

ᲒᲐᲗᲣᲛᲘ

ᲐᲕᲐᲠᲘᲡ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც ფართოდ გამალეს სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, 20 დეკემბერს გაახადეს საძრეწველო პროდუქციის რეალიზაციის წლიური დავალება.

წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოშვებული იქნება 12 მილიონი მანეთის პროდუქცია, ასევე ეალდებულება აკისრეს აქარის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. (საკ. კორ.).

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ

ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚ წარმატებებს აღწევს თერჯოლის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის კოლექტივი, რომელსაც უხარისებად უძღვება ბ. გოგუაძე. წიაღის მკვლევარებმა ერთი თვით ადრე შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი და კარგანახნა 1972 წლის ანგარიშში მუშაობენ, მათ 15 ათასი მანეთით მეატეირეს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა თვითღირებულება და სამშობლოს მისცეს 32 ათასი მანეთი ზედგამეთი მოგება.

სოციალისტური შეჯიბრების სათავეში არიან მბურღავთა კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც ს. ანთიძე, გიორგი და ზაურ ბატარიძეები ხელმძღვანელობენ. (სპპ. კორ.).

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ

ᲒᲐᲐᲮᲐᲚᲔᲡ რა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის პირველი წლისა და ნაკისრი ვალდებულებების გადამდე შესრულებისათვის, მახარაძის ამრეშუმმადფსაღება-საგრეხი ფაბრიკის (დირექტორი ი. მახარაძე) კოლექტივმა პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა 25 დღით ადრე შეასრულა.

ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვეტა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. (საკ. კორ.).

საქართველოს კომპარტიის ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოხრიგი ინფორმაციის დღე.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ფ. დ. დუმბაძემ და რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ვ. ა. პაატაშვილმა ილაპარაკეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე. (საქდესი).

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი კულტურისათვის

წმიდაღწაურს რაიონის სოფელ ზემო მაღნაკინის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის მშრომელთა წერილი

ᲛᲔᲠᲕᲔ ხუთწლედში ჩვენმა კოლმეურნეობამ ხაშუალოდ ჰექტარზე მოიწია 19,6 ცენტნერი მარცვლეული, 84 ცენტნერი ყურძენი, ყოველ ხაფურაეე ძრობაზე ხაშუალოდ მიღებულია 2.643 კილოგრამი რძე, ხორცის ხაშუალო-წლიურმა წარმოებამ შეადგინა 840 ტონა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მიღწეული დონე განაპირობა ძიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მაღალმა კულტურამ, სწორი თეალბოუოვეების, დახეოგვამ, ორგანული და მინერალური სასუქების ეფექტიანმა გამოყენებამ, ნიადაგვის სწორეთ დამუშავეთამ, მაღალი კოდოციის თესლის დათესვამ, საზოგადოებრივი ჯოგის ჯამობრივი შემადგენლობის გაუჯობესებამ, საკვებ ბაზის გაძტიცებამ, ბრძოლებეგდი სამუშაოების მეექანიზაციამ, კოლმეურნეთა საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებამ.

მაგრამ ეს საკმარისად არ მიგვაჩნია. ჩვენ გადავწყვიტეთ 1975 წელს — ხუთწლედის ეკანასკნელ წელს მარცვლეულის ხაშუალო-ჰექტარობრივი მოსავლიანობა გავადიდოთ 25 ცენტნერამდე, ძაზესუმზირისა — 15 ცენტნერამდე, თვითეული ძროხის წველადობა — 3 ათას კილოგრამამდე, დედლის კვეოცხის მდებლობა — 130 ცალამდე, ხორცის წარმოება — 1.100 ტონამდე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ გადიდებას უდიდესი ძნიშვნელობა აქვს ინისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისულ უფრო ძაზარდი მოთხოვნილება სოფლის ძეუნოოიანი პროდუქტებზე, მრეწველობისა — ხელლეულზე.

სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ჩვენი კოლმეურნეობის ძრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თვალდადებით იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის მიჯნების დასაძლევად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღორძინებისათვის. ვაანალიზებთ რა ახალი ხუთწლედის პირველი წლის ხამეურნეო შედეგებს, კოლექტიურად ვაფასებთ მიღწეულს, ვსახავთ გამოუყენებელი რეზეოვების ამოქმედების გზებს. დარწმუნებული ვართ, რომ შეგვიძლია მოვიძოებოთ უფრო მაღალი ძაჩვენებლები.

ჩვენი კოლმეურნეობა რესპუბლიკის ერთ-ერთი მძლავრი მეურნეობაა. იგი აერთიანებს 1.325 კომლს, აქვს 24.608 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო საკარგულები, რომელთაგან სახნავია 7.687 ჰექტარი. მრავალწლოვან ნარგავებს 500 ჰექტარი უჭირავს. მთელი ეს ფართობი კახეთის ურწყავ ზონაშია, სადაც ხშირია ძლიერი გვალვა, ქარი, სეტყვა. მიუხედავად ამისა კოლმეურნეობას ამ ბოლო წლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი საკმაოდ უხვი და მყარი მოჰყავს.

ეს თავდადებული შრომის, წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის შედეგია. მეორე ხუთწლედში შემოვიღეთ და ავითვისეთ მინდვრისა და საკვები კულტურების თესლბრუნვა მთელ სახნავ ფართობებზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებას აგროტექნიკურ ვადებში და ძალიან დონეზე. ძირითად ხვნას ვაწარმოებთ 25-27 სანტიმეტრ სიღრმეზე შემდგომი ფარცხვით. იმ ფართობებზე, სადაც სამემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა თესლბრუნვის მიხედვით გათვალისწინებულია ხაზვერალზე, ძირითად ხვნას ვაწარმოებთ ბოსტნეულის ღეგებისთანავე, შემდეგ კი ვამუშავებთ როგორც ანეულს. თესვისწინა დამუშავების ვახდენთ თესლის ნათესვის სიღრმეზე, ხოლო თესვას — ვიწრომწკრივიანი სათესლებით.

ბოსტნეულნობის გადიდებისათვის ფართოდ ვიყენებთ ორგანულ და მინერალურ სასუქებს. ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებში შეგვაქვს ცხრა ათას ტონამდე ორგანული სასუქები, თუ ეინათ საკმარისი რაოდენობით არ შეგვაქონდა ძინერალური სასუქები, მეოვე ხუთწლედში იგი მთელ ფართობზე მეეტეხეთ სრულიეროხით. წინათ ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები შეგვქონდა ძირითადი ხვნის წინ, ხოლო აზოტიანი — ძხოლოდ გაზაფხულზე მცენარეთა გამოსაკვებად. მაგრამ მოურწყავ და გვალვიან პირობებში აზოტიანი სასუქების ეფექტიანობა მეტად დაბალი იყო. საქართველოს ძიეოთძოქმედებია სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კახეთის საცდელი სადგურის ოეკომენდაციით ახლა ეზოტიანი სასუქები შეგვაქვს ხვნისა და თესვისწინა დამუშავების დროს. ეს მოსავლიანობის ზრდასთან ერთად დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა. სასუქები შეგვაქვს აგროქიმიური კაოტოგრამების მიხედვით, რის შედეგადაც ვაღწევთ სასუქების რაციონალურ გამოყენებას.

ᲜᲐᲪᲘᲜᲘᲐ, თესლი მოსავლის დედაა. ეს კარგად ვიცით და განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ მეთესლეობას. ამჟამად საზეიმოდ ვზრდ ხორბლის ნათესების მთელ ფართობზე მოსავამთ დარაიონებულ ჯიშს „უზარ-1“-ს, რომელიც ჰექტარზე გვაძლევს 5-7 ცენტნერით მეტ მოსავალს, ვიდრე წინათ გავრცელებული ჯიშები.

მომდინარე წელს ზემო ქედის სახელმწიფო ჯიშთსაცდელ ნაკვეთზე გვაღვიან პირობებში ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით მიღებულნი იყო „კავკასურას“ ჯიშის ხორბალი — 53 ცენტნერი, „აურორას“ ჯიშისა — 51 ცენტნერი, აქედან გამომდინარე კოლმეურნეობამ იყიდა და „კავკასურის“ ჯიშის ხორბალი დათესა 225 ჰექტარზე, ხოლო „აურორას“ ჯიშისა — 80 ჰექტარზე.

სამემოდგომო ქერის „ძველთესლია“ და „ტრების“ ნაცვლად ვთესავთ ახლად დარაიონებულ ჯიშს „პალიდიუმ-187“, ხოლო სიმინდის „მინოზუტა-13“ ჯიშის ნაცვლად — ჰიბრიდის „ვინ-42“.

როგორც წესი ამ ბოლო წლებში ვთესავთ საკუთარი წარმოების ეიბრკვლი კლასის თესლს. ჩვენში შეეანილია ბეთესლეობის ბრიგადა, რომელსაც ხელძღვანელობს უმაღლესი განათლების ძეონე სოციალისტი გივი ბოსტოღანაშვილი, ჯიმკის განახლებას ვაყარმოებთ ოთხ წელიწადში ერთხელ ათეულე ნაკვეთის გამრავლების ფართობზე ელიტური თესლით, ხოლო მთელ სასოფლო-სამეურნეო ფართობზე — მეორე რეპროდუქციის თესლით.

ჩვენი კოლმეურნეობის მინდვრებში ადრე ფართოდ იყო გავრცელებული ისეთი სარეველები, როგორიცაა: ზვიოუკა, ხოლოკა და ბირკა, რაც წლეიის განმავლობაში საგრძნობლად ამცირებდა მოსავლიანობას, დაბალი იყო კოდოუციის ხარისხი. ახლა სარეველების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ნიადაგის დამუშავებასთან ერთად ფართოდ ვიყენებთ ჰერბიციდებს. სარეველა ბალახებს ვებრძვით არა მარტო თესლბრუნვის მინდვრებში, არამედ მის სახღვრებზე, გზების ნაპირებზე, საძოვრებზე, ქარსაცავ ზოლებსა და სხვ. ჰერბიციდების გამოყენება სამარცვლე თავთავიანი კულტურების ნათესებში იწყება გაზაფხულზე მცენარეთა ვეგეტაციის განახლებისთანავე.

აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებაში ბალამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მექანიზაციას. კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები გაპირონებულია ბრიგადებსა და ცალკეულ







(დასასრული მე-2 გვ.).

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი კულტურისათვის

(დასასრული).

მექანიზატორებზე, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სამუშაოთა დროული და მაღალხარისხოვანი მცურულებისათვის. თავთავიანი კულტურების მოგლა-მოშენება ჩვენში 100 პროცენტითაა მექანიზებული. თესლის გაწმენდა, გამროა და დახარისხება წარმოებს ელექტროფიცირებულ საწელე კალოებზე.

კოლმეურნეობაში ათვისებულია მთელი სახნავი ფართობი. ახლა მთავარი ამოცანაა თვითეული ჰექტარიწ მიავიღოთ უფრო მოსავალი. ამისათვის ბრიგადებსა თესლბრეწვის მინდვრების შესაბამისად დასახეს და ასრულებენ ღონისძიებათა კომპლექსს ნიადაგის ნაყოფიერებისა და წინამორბედების გათვალისწინებით.

№ 2 ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი ბრიგადირი, კომუნისტი აგრონომი ვაიილ ბოსტოლანაშვილი ხელმძღვანელობს, მთელი რიგი წლების მანძილზე მარცვლეულის უფრ მოსავალს იღებს. 1971 წელს მიუხედავად უამინდობისა ბრიგადამ 540 ჰექტარიდან თვითეულზე მიიღო 21 ცენტნერი მარცვლეული.

ბრიგადა ერთ-ერთ ნაკვეთზე მრავალი წლის განმავლობაში იღებდა დაბალ მოსავალს. ნიადაგი არ იყო ვაწმენდილი ქვებისაგან, დაფარული იყო ისეთი სარეველებით, როგორიცაა შერიეკა, თეთრი ნარი და სხვ. ფართობის გაკულტურების მიზნით ეს ნაკვეთი ვაიწმინდა ქვებისაგან, ნიადაგი ღრმად მოიხნა. მეიტანეს ორგანული და მინერალური სასუქები, დათესა მაღალხარისხოვანი თესლი ოქტომბერურ ვადებში ჯვარედინი ხერხით, ვიწრომწკრივიანად სასიელებით. ჯეტატაციის განახლებისთანავე შეტანილი იქნა ჰერბიციდები.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად № 2 ბრიგადამ 105 ჰექტარიდან თვითეულ ჰექტარზე 1971 წელს მიიღო 33 ცენტნერი მარცვლეული.

დიდი ზიანი მოაქვს ქარისმიერ ეროზიას. მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის კოლმეურნეობაში თესლბრუნვის მიდგრის გარშემო მოწყობილია 150 ჰექტარი მინდორსაცავი ტყის ზოლები. ამისათვის, რომ აღეკვეთოთ ეროზია და აღმოიაცენებდა ქარს გაუღოს, სახნავლეგ კულტურებსა და ბალახებს ვთესავთ ჯვარედინად, ხოლო საჭირეობის შემთხვევაში ტაკვინით ნიადაგს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო გასულ ხუთწლედში მიღწეულ წარმატებებს. მარცვლეულის სამუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ მერვე ხუთწლედში შეადგინა 19,6 ცენტნერი, ხოლო 1966 წლის უფრო ხელსაყრელ ამრობებში — 22,4 ცენტნერი ნაცვლად 1961-1965 წლების 11,2 ცენტნერისა. მარცვლის ძალიანმა წარმოებამ გასულ ხუთწლედში შეადგინა 47.526 ტონა. თუ 1961-1965 წლებში კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიპყიდა 12 ათასი ტონა მარცვლეული, მერვე ხუთწლედში მიყიდულია 17.700 ტონა, 44 პროცენტით მეტი. მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს სახელმწიფოს მიეყიდა 2.803 ტონა მარცვლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.070 ტონისა. ამავე პერიოდში მზესუმზირას სამუალო ჰექტარობრიგმა მოსავლიანობამ შეადგინა 12 ცენტნერი, ნაცვლად წინა ხუთწლეულში მიღებული 9,8 ცენტნერისა, ხოლო 1969 წელს მოვიწიეთ 17,7 ცენტნერი მზესუმზირას თესლი.

კოლმეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეფენაჯობას. ჩვენში 440 ჰექტარი ვენახია, საიდანაც 391 ჰექტარი მსხმო

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის

თავისუფალ ხალხთა ძმური კავშირი

დიდი ოქტომბრის გრწყინვალე მონაპოვარი

ორმოცდაცხრა წლის წინათ, 1922 წლის დეკემბერში ჩვენი ქვეყნის თანასწორუფლებიან ხალხთა ხებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ახალი, უმაღლესი ტიპის მრავალეროვანი სახელმწიფო.

დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების შეკავშირება, ეოკბა და ეროვნებებს შორის ძმური მეგობრობის, ურთიერთდახმარების და მჭიდრო თანამშრომლობის დაძყარება, ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და განმტკიცება, ძალი ეკონომიკისა და კულტურის აყვავება კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების უძახმვნელოვანესი შედეგი და სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებამ უზრუნველყო ხალხთა ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაცია, მათი მორალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა. ახლა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ყველა ეროსა და ეროვნების ყოველმხრივი პროგრესი და შემდგომი დაახლოება. სსრ კავშირის ხალხთა მიღწევები ძალი ერთობლივი შრომის, პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგია. სოციალიზმის მშენებლობის პროცესში ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული გაერთიანება — საბჭოთა ხალხი.

კომუნისტური პარტია თანმიმდეგრულად ახორციელებს ვ. ი. ლენინის ანდერძს, მის იდეებსა და მითითებებს სსრ კავშირის ხალხთა ძმური თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაფართოების შესახებ.

XXIV ყრილობამ მოითხოვა, რომ მომავალშიც განუხრელად „ვახორციელებდეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცების ლენინურ კურსს, ანასთან ვხელმძღვანელობდეთ საბჭოთა სახელმწიფოს საერთო ინტერესებით, აგრეთვე ვითვალისწინებდეთ მასში შემავალი თვითეული რესპუბლიკის განვითარების პირობებს, თანმიმდევრულად ვიღვწოდეთ ყველა სოციალისტური ერის შეძდგომი აყვავებისათვის და მათი თანდათანობით დაახლოებისათვის“.

ეროვნული საკითხი ყოველთვის იყო, არის და კიდევ დიდხანს იქნება სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი აქტუალური და ანასთან რთული პრობლემა. მეცხიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მოგვცეს ამოსავალი დებულებანი ეროვნულ საკითხზე, განსაზღვრეს ძიაა ადგილი პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. მათ ყოველმხრივ დაასაბუთეს, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებულია პროლეტარული რევოლუციის ძირეულ ამოცანებთან, ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმისაგან მშრომელთა განთავისუფლებასთან, სოციალიზმის აშენებასთან.

ახალ ისტორიულ პირობებში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში, ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსისტული იდეები ეროვნულ საკითხზე, შეიძუშავა და ღრმა მეცხიერული საზუსტით ჩამოაყალიბა მთლიანი და მწყობრი მოძღვრება ეროვნულ და ეროვნულ-კოლონიურ საკითხზე.

ისტორიაში არც ერთი მრავალეროვანი ქვეყნის არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, როგორც ხელისუფლების სათავეში ჩაქცევია და მმართველი პარტია გამხდარა, ორა ჰქონია ისე ყოველმხრივ თეორიულად დამუშავებული პროგრამა და პოლიტიკა ეროვნულ საკითხზე, როგორც ბოლშევიკების პარტიას.

ვ. ი. ლენინი, ისევე როგორც კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ეროვნული საკითხის გადაწყვეტას უკავშირებდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, სოციალიზმის მშენებლობის წარმატებებს. „კაპიტალიზმის დროს ეროვნული (და საერთოდ პოლიტიკური) ჩაგვრის მოსპობა შეუსრულებელია“, რომ ამისათვის აუცილებელია სოციალიზმის გამარჯვება, — მიგვითითებდა ვ. ი. ლენინი.

მარქსიზმ-ლენინიზმმა თეორიულად დასაბუთა და ჩვენი ქვეყნის გამოცდილებამ პრაქტიკულად დაადასტურა, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის საფუძველზე. მაგრამ ამავე დროს ახალი საზოგადოებრივი წყობილების წარმატებით მშენებლობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად და თანმიმდევრულად ხორციელდება ეროვნული პოლიტიკა.

1919 წლის მარტში, რკპ (ბ) VIII ყრილობაზე ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტის გარეშე, ეროვნული იხტერესებისა და თავისებურებათა გაუთვალისწინებლად „სოციალისტური საზოგადოების აშენება ჩვენ არასგზით არ შეგვეძლია“.

სსრ კავშირის შექმნისა და განვითარების ისტორიაში გამოცდილება ეროვნული საკითხის მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტის ნიმუში და მისაბაძი მაგალითი გახდა მსოფლიოს ყველა მრავალეროვანი ქვეყანისათვის.

„სსრ კავშირის გამოცდილებამ დაამტკიცა, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — რომ მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ქმნის ყველა მეაძლეალობას და პირობას ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის, ერთიან სახელმწიფოდ თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთა და ეროვნებათა ნებაყოფლობით გაერთიანებისათვის“.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა ულრძეს გადატრიალებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათ შორის ეროვნულ ურთიერთობათა დაოგშიც. დაამხო რა ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება რუსეთში, მან საუფლმოდ მოსპო იქ მშრომელთა სოციალური და ეროვნული ჩაგვრა, ძველი ექსპლოატატორული სახელმწიფო მანქანის ნაცვლად შექმნა ახალი, ხალხთა ნამდვილი თავისუფლების, თანასწორუფლებიანობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპებზე დაფუძნებული მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო.

საბჭოთა ხელისუფლებამ პირველსავე ისტორიულ დეკრეტებში აუწყებოდა ნებას, რომ ეგი თავის სამშინაო და საგარეო პოლიტიკაში თანმიმდევრულად განახორციელებს სხვადასხვა ერის ხალხთა თანასწორუფლებიანობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპებს. საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის ბიძართვაში „ძუშებს, ჯოსაკაცებს და გლეიებს!“ ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება „უზრუნველყოფს რუსეთში მოსახლე ყველა ერისათვის თვითგაორკვევის ნამდვილ უფლებას“. ზავის ლენინური დეკრეტი ომმ მიიღო, ყოლრობამ ნებადადებით მიმართა ყველა მეომარი ქვეყნის ხალხებსა და მთავრობებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება სამართლიანი დემოკრატიული, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისათვის, ოდესაც ბოლოს მოუღებდა სხვისი ტეროტორიების დაპყრობას, უცხო ეროვნებათა ძალდატაცებით შემოეთვისებას და უზოუნველყოფდა ყველა ერისა და ეროვნების ნამდვილ თანასწორუფლებიანობას.

